

დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსური ანგარიშგება
2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის კასუსისმგებლობის ანგარიში 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოღბენილი ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
სრული მოგება-ზარალის ანგარიში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	7-8
ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები	9-52

დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თადლითობისა, და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2011 წლის 17 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი

მარტი 17, 2010
თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე
მთავარი ბუღალტერი

მარტი 17, 2010
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის („ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საყურადღებო საკითხი

როგორც აღწერილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში, 2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი თანდართული შესადარისი ინფორმაცია შესწორდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ წარმოდგენილი დასკვნა არ არის პირობითი.

მარტი 17, 2011

თბილისი, საქართველო

დასრულებული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

სრული მოგება-ზარალის ანგარიში
 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	4, 21	2,434	1,713
საპროცენტო ხარჯი	4, 21	(123)	(109)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე		2,311	1,604
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	5, 21	(3)	(75)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		2,308	1,529
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	6	(33)	55
საკომისიო შემოსავლები	7	68	26
საკომისიო ხარჯები	7	(15)	(9)
სხვა შემოსავლები		24	27
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		44	99
საოპერაციო შემოსავალი		2,352	1,628
საოპერაციო ხარჯები	8, 21	(1,931)	(2,071)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		421	(443)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	9	(67)	36
სულ სრული მოგება/(ზარალი)		354	(407)

დირექტორთა საბჭოს სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე
 გენერალური დირექტორი

მარტი 17, 2010
 თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე
 მთავარი ბუღალტერი

მარტი 17, 2010
 თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
აქტივები:			
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	10	641	1,263
მოთხოვნები ბანკების მიმართ	11, 21	481	2,415
კლიენტებზე გაცემული სესხები	12, 21	9,789	5,962
ძირითადი საშუალებები	13	2,864	3,143
გადავადებული მოგების გადასახადი	9	64	131
არამატერიალური აქტივები	14	240	198
სხვა აქტივები	15	16	13
სულ აქტივები		14,095	13,125
ვალდებულებები და კაპიტალი:			
ვალდებულებები:			
კლიენტების ანგარიშები	16, 21	1,008	490
სხვა ვალდებულებები	17	44	45
სუბორდინირებული სესხი	18, 21	1,641	1,542
სულ ვალდებულებები		2,693	2,077
კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	19	12,000	12,000
დაგროვილი ზარალი		(598)	(952)
სულ კაპიტალი		11,402	11,048
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,095	13,125

დირექტორთა საბჭოს სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი

მარტი 17, 2010
თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე
მთავარი ბუღალტერი

მარტი 17, 2010
თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დასრულებული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
დეკემბერი 31, 2008		12,000	(545)	11,455
სულ სრული ზარალი წლისათვის		-	(407)	(407)
დეკემბერი 31, 2009		12,000	(952)	11,048
სულ სრული მოგება წლისათვის		-	354	354
დეკემბერი 31, 2010		12,000	(598)	11,402

დირექტორთა საბჭოს სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე
გენერალური დირექტორი

მარტი 17, 2010
თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე
მთავარი ბუღალტერი

მარტი 17, 2010
თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ- ლი წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ- ლი წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
		(შესწორებული)	(შესწორებული)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტი	2,352	1,689	1,218
გადახდილი პროცენტი	(25)	(2)	(3)
მიღებული საკომისიო შემოსავლები	67	26	8
გადახდილი საკომისიო ხარჯები	(15)	(9)	(3)
(მოგება)/ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	(33)	55	403
სხვა მიღებული შემოსავლები	24	27	5
გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(1,603)	(1,642)	(2,041)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	767	144	(413)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
მინიმალური სავალდებულო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში	(3)	(3)	(4)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(3,749)	(3,169)	(2,902)
სხვა აქტივები	(2)	62	(73)
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
კლიენტების ანგარიშები	518	215	274
სხვა ვალდებულებები	1	(12)	38
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	(2,468)	(2,763)	(3,080)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(11)	(1)	(3,658)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(80)	(27)	(200)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(91)	(28)	(3,858)

დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქელეა)
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის <i>(შესწორებული)</i>	2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის <i>(შესწორებული)</i>
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:				
სააქციო კაპიტალის გამოშვება		-	-	12,000
სუბორდინირებული სესხის გადახდა		-	-	(155)
სუბორდინირებული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები		-	-	1,555
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან		-	-	13,400
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(2,559)	(2,791)	6,462
წული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	10	3,671	6,462	-
წული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	10	1,112	3,671	6,462

დირექტორთა საბჭოს სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე
 გენერალური დირექტორი

მარტი 17, 2010
 თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე
 მთავარი ბუღალტერი

მარტი 17, 2010
 თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართული ლარი)

1. ორბანიზაცია

სს პროგრეს ბანკი („ბანკი“) არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2007 წლის 30 ნოემბერს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ საბანკო საქმიანობის №0110244 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და მომხმარებელთა ანგარიშების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №8.

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს საქართველოში გააჩნდა ერთი ფილიალი.

ბანკს სრულად ფლობს სს კალა კაპიტალი. ბანკის საბოლოო აქციონერს წარმოადგენს კახა კალაძე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2011 წლის 17 მარტს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

წარდგენის კრიტერიუმის სხვა საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას. ბანკი დაარსდა 2007 წლის ნოემბერში და იმყოფება კლიენტების მომსახურებისათვის საჭირო ოპერაციების განვითარების პროცესში. 2007 წლის ნოემბრიდან დაწყებული 2009 წლის 31 დეკემბრამდე ბანკმა სააქციო კაპიტალის სახით მიღებული საკუთარი ფინანსური რესურსების ინვესტირება განახორციელა ბანკებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებში და 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიწყო კლიენტებზე სესხების გაცემა. ბანკის ხელმძღვანელობას და აქციონერებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალში განავითარონ ბანკის ბიზნესი საქართველოში როგორც მცირე, ასევე მსხვილ ბიზნეს სექტორში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი მართებულია ბანკისათვის კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტიდან გამომდინარე. 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტი (მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი), როგორც აღწერილია 23-ე შენიშვნაში, შესაბამისად შეადგენს 75.65 და 103.45 პროცენტს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ბანკი სრული მოგება-ზარალის ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, და შესაბამისად ასახულია ბანკის ბუღალტრული პოლიტიკებში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

სამართლიანი ღირებულებით ასახული აქტივებიდან მიღებული პროცენტი აისახება საპროცენტო შემოსავალში.

სხვა შემოსავლების აღიარება

საკომისიო შემოსავლების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება ყველანაირი სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სასესხო მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დროს. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის შესყიდვები, რომლის შემდგომი შეფასება სამართლიანი ღირებულებით აისახება გაყიდვის და ანგარიშსწორების დღეებს შორის, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამომშვებას (მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამომშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები” და „სესხები და მოთხოვნები”. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად კლასიფიცირებული კოტირებული და არაკოტირებული კაპიტალში ინვესტიციების გაუფასურების ობიექტურ მაჩვენებლად ითვლება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი, ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან შედარებით.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების, ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდის უუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას;
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოუღებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებასა და ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგებასა და ზარალში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

თუ გასაყიდად არსებული აქტივი გაუფასურდება, თანხა რომელიც წარმოადგენს სხვაობას მის თვითღირებულებასა (ძირითადი თანხისა და ამორტიზაციის გარდა) და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის წინა პერიოდში მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარებული გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით, კაპიტალიდან გადადის მოგება-ზარალის ანგარიშში.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში წინა პერიოდში მოგებასა და ზარალში აღიარებული გაუფასურების დანაკარგები არ კორექტირდება მოგებასა და ზარალში. გაუფასურების დანაკარგების გაჩენის შემდგომ სამართლიანი ღირებულების ზრდა აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში ინვესტიციების გადაფასების რეზერვის სახელწოდების ქვეშ. რაც შეეხება გასაყიდად არსებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, გაუფასურების დანაკარგები იმ შემთხვევაში კორექტირდება მოგებასა და ზარალში, თუ ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მატება ობიექტურად უკავშირდება გაუფასურების დანაკარგების აღიარების შემდგომ მოვლენებს.

სესხების და ავანსების ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ბანკების მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით, და აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში აღდგენის პერიოდში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების, და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგება ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა, აღიარებას მოგებასა და ზარალში ექვემდებარება.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი, ან როდესაც ინარჩუნებს გარკვეულ მონაწილეობას აქტივში, გარდა ისეთი მონაწილეობისა, რომლის შედეგად ბანკი ძირითადად ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავალს და შესაბამის კონტროლს), ბანკი ანაწილებს აღიარების შეწყვეტამდე ფინანსური აქტივის არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებულ შენარჩუნებულ წილისა და იმ ნაწილის სამართლიან ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, აღიარებულ უნდა იქნას მოგებაში და ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულია სხვა სრული მოგება ზარალის ანგარიშში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და გამომშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსისა და ფინანსური ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

კაპიტალის ინსტრუმენტები

კაპიტალის ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გაქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამომშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამომშვების ხარჯების გამოკლებით.

ბანკის კუთვნილი კაპიტალის ინსტრუმენტების შესყიდვა აისახება და იქვითება პირდაპირ კაპიტალში. ბანკის კუთვნილი კაპიტალის ინსტრუმენტების შესყიდვის, რეალიზაციის, გამომშვების, ან გაუქმების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი არ აისახება მოგებასა და ზარალში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო ინსტრუმენტების, ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტების, გამომშვებული სავალდო ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ნასესხები სახსრების, სუბორდინირებული სესხისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის ეფექტური ამონაგების განაკვეთის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს გამომშვების მიერ ანაზღაურების გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის მფლობელი სასესხო ინსტრუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით შესაბამისად ფასდება მეტი თანხით მომდევნო თანხებს შორის:

- თანხა, რომელიც აღიარებულია რეზერვის სახით, ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად; და
- თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით, ფინანსური გარანტიებიდან ან აკრედიტივებიდან, ან პრემიის სახით მომავალში მისაღები შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით შემოსავლების აღიარების პოლიტიკის საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე და ბანკებზე გაცემულ ავანსებს 90 დღემდე დაფარვის საწყისი ვადით, რომელთა კონვერტაცია ფულად სახსრებად შესაძლებელია მოკლე ვადაში და რომლებიც ითვლება ლიკვიდურად, გარდა პლასტიკური ბარათებით ოპერაციებისთვის განკუთვნილი საგარანტიო დეპოზიტებისა. ფულადი სახსრების მოძრაობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკში მინიმალური სავალდებულო დეპოზიტის გამოყენება ექვემდებარება შეზღუდვას და შესაბამისად არ განეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

მოთხოვნები ბანკების მიმართ

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს სხვა ბანკებში სხვადასხვა ვადებით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ბანკის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შესყიდვასა და შექმნასთან, სადაც სამართლიანი ღირებულებით ასახული ანაზღაურება არ უდრის სესხის სამართლიან ღირებულებას. მაგალითად, როდესაც სესხის გაცემა ხდება საბაზროზე ნაკლები განაკვეთით, მათ შორის სხვაობა აისახება როგორც დანაკარგი სესხის თავდაპირველი აღიარებისას და იგი აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში შესაბამისი დანაკარგების ტიპის მიხედვით. შედეგად, სესხის ნარჩენი ღირებულება აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კლიენტებზე გაცემული სესხები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვეითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	2%
ავტო და მოწყობილობები	8%-20%
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	8%-20%
ტრანსპორტი	20%
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	15%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მიხედვით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღემატება თუ არა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის ხარჯების გამოკლებით სამართლიან ღირებულებასა და მოხმარების ღირებულებას შორის უმეტესი. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს), თანაბრად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით. არამატერიალური აქტივების გაუფასურების შეფასება ხორციელდება მათი გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

10%

არამატერიალური აქტივების ჩამოწერა

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში აქტივის რეალიზაციისას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და განსაზღვრული სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების ოდენობის განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირებას ექვემდებარება დღევანდელ ღირებულებამდე მოგების გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის დროში ფულის ღირებულების შეფასებას და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულია.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასებისას.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელდებოდა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგების აღდგენა განიხილება როგორც გადაფასების ზრდა.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია სრული მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა და მოგების გაანგარიშებისთვის გამოყენებულ დასაბეგრ ბაზას შორის არსებული დროებითი სხვაობების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ ბანკს ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც მოხდება გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობის გამოყენება.

აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი გსხვაობა გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ

ოპერაციებში (საწარმოთა გაერთიანების გარდა), რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც დასაბეგრ მოგებაზე, ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარებ ხდება იმ დროებითი სხვაობებისთვის, რომელიც უკავშირდება ძირითად საშუალებებსა და კლიენტებზე გაცემულ სესხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკი აკონტროლებს სხვაობის შეტრიალებას, და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის შეტრიალება არ არის ნავარაუდები. გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება სავარაუდოდ საკმარისი იქნება დროებითი სხვაობის სარგებლის გამოყენებისთვის და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადი

მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აისახება მოგებასა და ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადი ასევე აისახება შესაბამისად ან სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შედგენის თარიღისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდები.

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, სადაც ეს ითვლება მართებულად. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაგირავებას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

კლიენტების ანგარიშები და სუბორდინირებული სესხი

კლიენტების ანგარიშები და სუბორდინირებული სესხი თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მისაღები თანხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსავალსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ვალის საბოლოო გადახდამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში შენატანის აღიარება ხდება თვითღირებულებით.

ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარე ხარჯები, საწარმოთა გაერთიანების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

ბანკს არ გააჩნია რაიმე სხვა საპენსიო გეგმა, გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდისა. გარდა ამისა, ბანკს არ გააჩნია პენსიაზე გასვლის შემდგომი ვალდებულება, ან სხვა მნიშვნელოვანი კომპენსაცია, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შემდგენის თარიღისათვის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება წმინდა მოგებაში უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
ლარი/1 აშშ დოლარი	1.7728	1.6858
ლარი /1 ევრო	2.3500	2.4195

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-2 მნიშვნაში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში, შესაბამისად.

შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოების მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

სესხების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს ჯგუფში შემაჯავლი მსესხებლების გადახდის სტატუსის საწინააღმდეგო ცვლილებაზე და აგრეთვე ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემაჯავლი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისათვის ამ ეტაპზე რთულია პროგნოზი იმისა თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის აღექვატურობაზე.

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 9,943 ათასი და 6,113 ათასი ლარი შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 154 ათასი და 151 ათასი ლარი შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე ერთი პირობის ცვლილებამ ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აუცილებელი არ არის გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასების რეზერვის შექმნა ანგარიშგების თარიღისათვის, ვინაიდან სავარაუდოდ მოხდება გადავადებული საგადასახადო აქტივების სრული რეალიზაცია. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 64 ათასი და 131 ათასი ლარი.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გავლენას ახდენს მიდინარე პერიოდში (და/ან წინა პერიოდებში) წარმოდგენილ თანხებზე

მიდინარე პერიოდში მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე. მოცემულ თავში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ გავლენა არ მოუხდენია წარმოდგენილ თანხებზე: ფასს-ის ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებსაც არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებსაც არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მათ მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, თუმცა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მომავალი გარიგებების აღრიცხვაზე:

ფასს 5 „გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს ცვლილება (2009 წელს გამოშვებული ფასს-ს გაუმჯობესების ნაწილი)	ფასს 5-ის ცვლილება განმარტავს, რომ წარდგენის მოთხოვნა ფასს-ის შესაბამისად გარდა ფასს 5-ისა, არ ეხება გრძელვადიან აქტივებს (ან სარეალიზაციო ჯგუფს), რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად განკუთვნილი, ან შეწყვეტილი ოპერაციები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ფასს ითხოვს (I) სპეციალურ წარდგენას გრძელვადიან აქტივებთან მიმართებაში აქტივებსა და ვალდებულებებთან (ან სარეალიზაციო ჯგუფებთან) მიმართებაში, რომლებიც კლასიფიცირებულია გასაყიდად განკუთვნილ აქტივებად, ან შეწყვეტილ ოპერაციებად, ან (II) სარეალიზაციო ჯგუფში შემავალი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების წარდგენას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფასს 5-ის შეფასების მოთხოვნებს და ფინანსურ ანგარიშგებაში მათი წარდგენა ჯერ არ განხორციელებულა.
--	---

ზემოთ მოცემულ განმარტებებს ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ ჰქონია.

ბასს 7 „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში“-ს ცვლილება (2009 წელს გამოშვებული ფასს-ის გაუმჯობესების ნაწილი)	ბასს 7-ის ცვლილება განმარტავს, რომ მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარებულ აქტივებს, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას, როგორც საინვესტიციო საქმიანობა. ბასს 7-ის ცვლილებების გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილება ფულადი სახსრების გადინების წარდგენაში.
--	--

ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“-ს ცვლილება (2010 წელს გამოშვებული ფასს-ს გაუმჯობესების ნაწილი)	ფასს 7-ის ცვლილება განმარტავს საკრედიტო რისკისა და წარმოდგენილი უზრუნველყოფის განმარტების აუცილებელ დონეს და ათავისუფლებს წარდგენის ძველი მოთხოვნებისგან იმ სესხებთან მიმართებაში, რომელთა პირობების შეთანხმება შეიცვალა.
---	---

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“-ს ცვლილება (2010 წელს გამოშვებული ფასს-ს გაუმჯობესების ნაწილი)	ბასს 1-ის ცვლილება განმარტავს, რომ საწარმოს შეუძლია აირჩიოს, თუ სად წარადგენს სხვა სრული მოგება-ზარალის ერთეულის სავალდებულო ანალიზს – კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში თუ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებულ შენიშვნებში.
---	---

გამოცემული და ჯერ არ მიღებული ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები

ბანკს არ გაუთვალისწინებია შემდეგი ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

- **ფასს 9 (შესწორდა 2010 წელს), ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელსაც ეხება ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ შეფასდეს ან ამორტიზებული, ან სამართლიანი ღირებულებით. კერძოდ, სავალდებულებები, რომლებსაც ბიზნეს მოდელის შესაბამისად იყენებენ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების მიღების მიზნით, და რომელთაც გააჩნიათ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილ ძირითად თანხებზე დარიცხული პროცენტის გადახდებს, ზოგადად აისახება ამორტიზებული ღირებულებით ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოს. ყველა სხვა სავალდებულება აისახება სამართლიანი ღირებულებით ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოს.

ფასს 9-ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან მიმართებაში უკავშირდება (მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული) ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ისეთი ცვლილების ასახვას, რომელიც გამოწვეულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით. კერძოდ, ფასს 9-ს გათვალისწინებისას, ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით აისახება, სამართლიანი ღირებულების ცვლილების თანხა ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შემთხვევაში აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი აღიარება გამოიწვევს, ან გაზრდის ბუღალტრულ შეუსაბამობას მოგებასა და ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი სამართლიანი ღირებულებაზე არ რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში. წინა პერიოდებში, ბასს 39-ის საფუძველზე მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების ერთიანი თანხა აღიარებას ექვემდებარებოდა მოგებასა და ზარალში.

ფასს 9 ძალაშია 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდისათვის ადრე გამოყენების დაშვებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფასს 9-ს, რომელიც გამოყენებულ იქნება 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებულ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. ბანკის მიერ წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა შეუძლებელია ამ გავლენის შეფასება დეტალური მიმოხილვის დასრულებამდე.

- **ფასს 7-ის შესწორება, წარდგენა – ფინანსური აქტივების გადატანა**

ფასს 7-ის შესწორება სახელწოდებით *წარდგენა – ფინანსური აქტივების გადატანა* ზრდის წარდგენის მოთხოვნებს ფინანსური აქტივების გადატანის გარიგებასთან მიმართებაში. ეს ცვლილებები გამიზნულია ფინანსური აქტივის გადატანისას რისკისადმი დაქვემდებარების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, თუმცა გადამცემი გარკვეულ დონეზე იტოვებს დაქვემდებარებას აქტივთან დაკავშირებული რისკების მიმართ. შესწორებები ასევე მოითხოვს წარდგენას, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივების გადატანა თანაბრად არ ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ხელმძღვანელობა მიიხნევს, რომ ფასს 7-ის მოცემული ცვლილებები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ბანკის მიერ მოთხოვნების წარდგენაზე.

ფასს 7 ძალაშია 2011 წლის 1 ივნისით დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისათვის.

- **ბასს 24 (შესწორდა 2009 წელს) დაკავშირებული მხარეების წარდგენა**

ბასს 24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა (შესწორდა 2009 წელს) ცვლის დაკავშირებული მხარეების განმარტებას და ამარტივებს სახელმწიფოსთან დაკავშირებული საწარმოების განმარტებებს.

ბასს 24-ში (შესწორდა 2009 წელს) წარდგენისაგან გათავისუფლებას გავლენა არ მოუხდენია ბანკზე, ვინაიდან იგი არ არის სახელმწიფოსთან დაკავშირებული საწარმო. თუმცა, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებებზე და ნაშთებზე გავლენა შეიძლება მოახდინოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში სტანდარტის შესწორებული ვერსიის გამოყენებამ, ვინაიდან ზოგიერთი კონტრაგენტი, რომელიც წინა პერიოდში არ შეესაბამებოდა დაკავშირებული მხარის განმარტებას შეიძლება მოექცეს სტანდარტის ფარგლებში. ბასს 24 ძალაშია 2011 წლის 1 იანვრით ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის, ადრე გამოყენების დაშვებით.

3. შესწორება

2010 წელს ბანკის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა შეცდომები 2009 და 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. თავისუფალი სახსრები 90 დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მქონე საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებსა და ბანკებზე გაცემულ ავანსებზე აღრიცხულია როგორც „მოთხოვნები ბანკების მიმართ“ საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოდინებაში. რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში. თავისუფალი სახსრები 90 დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მქონე საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებსა და ბანკებზე გაცემულ ავანსებზე, რომელთა ფულად სახსრებად კონვერტაცია შესაძლებელია დროის მოკლე მონაკვეთში და ამასთანავე მიჩნეულია ლიკვიდურად, ფულადი სახსრების მოძრაობის განსაზღვრის მიზნით რეკლასიფიცირებულ იქნა ბანკების მიმართ მოთხოვნებიდან ფულსა და ფულის ექვივალენტებში.

	წინა წელს წარმოდგენილი		რეკლასიფიკაციის თანხა		რეკლასიფიცირებული	
	დეკემბერი 31, 2008	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008	დეკემბერი 31, 2009
მოთხოვნები ბანკების მიმართ ფულადი სახსრების მოძრაობაში საოპერაციო საქმიანობიდან (ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში)	5,856	(3,443)	(5,856)	3,443	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	595	1,256	5,867	2,415	6,462	3,671

4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
-საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე რომლებიც არ არის გაუფასურებული	1,884	1,099
-საპროცენტო შემოსავალი ინდივიდუალურად გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	299	212
-საპროცენტო შემოსავალი ჯგუფურად გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	251	402
სულ საპროცენტო შემოსავალი	2,434	1,713
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	2,412	1,462
საპროცენტო შემოსავალი ბანკების მიმართ მოთხოვნებზე	22	251
სულ საპროცენტო შემოსავალი	2,434	1,713
საპროცენტო ხარჯი მოიცავს		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ვალდებულებებზე:		
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხებზე	(98)	(106)
საპროცენტო ხარჯი კლიენტების ანგარიშებზე	(25)	(3)
სულ საპროცენტო ხარჯი	(123)	(109)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე	2,311	1,604

5. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოიცავს:

	კლიენტებზე გაცემული სესხები
დეკემბერი 31, 2008	76
რეზერვის ხარჯის აღიარება	75
დეკემბერი 31, 2009	151
რეზერვის ხარჯის აღიარება	3
დეკემბერი 31, 2010	154

6. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საგაჭრო ოპერაციები, წმინდა არარეალიზებული საკურსო სხვაობა, წმინდა	109 (142)	136 (81)
სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	(33)	55

7. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საკომისიო შემოსავლები:		
ანგარიშსწორების საკომისიო	27	13
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	35	6
დოკუმენტური ოპერაციები	4	3
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები სხვა	- 2	2 2
სულ საკომისიო შემოსავლები	68	26
საკომისიო ხარჯები:		
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(4)	(4)
საკორესპონდენტო ბანკის მომსახურება სხვა	(10) (1)	(4) (1)
სულ საკომისიო ხარჯები	(15)	(9)

8. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	1,115	1,159
ცვეთა და ამორტიზაცია	328	320
კომუნიკაციის ხარჯები	116	73
პროფესიული მომსახურება	106	81
მივლინების ხარჯები	66	75
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	32	42
კომუნალური ხარჯები	31	33
დაცვის ხარჯები	26	7
წარმომადგენლობითი ხარჯები	14	10
სარეკლამო ხარჯები	8	22
საფოსტო ხარჯები	8	7
დაზღვევის ხარჯები	6	52
საოპერაციო ლიზინგი	-	5
სხვა ხარჯები	75	185
სულ საოპერაციო ხარჯები	1,931	2,071

9. მოგების ბაღასახალი

ბანკი საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

გარკვეული ხარჯების არასაგადასახადო მიზნით გამოვიქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ბანკი მუდმივად განიცდის საგადასახადო განსხვავებებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან.

შედარებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს მოგების გადასახადი 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგტ მოგებაზე.

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დროებითი სხვაობები შეადგენს:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
დასაქვითი დროებითი სხვაობა:		
სხვა აქტივები	32	32
სულ დასაქვითი დროებითი სხვაობა	<u>32</u>	<u>32</u>
დასაბეგრი დროებითი სხვაობა:		
ძირითადი საშუალებები	(268)	(275)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(199)	(66)
სხვა აქტივები	39	-
სულ დასაბეგრი დროებითი სხვაობა	<u>(428)</u>	<u>(341)</u>
წმინდა გადავადებული დროებითი სხვაობა	<u>(396)</u>	<u>(309)</u>
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		
კანონით განსაზღვრული 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით	(59)	(46)
ზარალის გადატანა მომავალ პერიოდზე	123	177
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	<u>64</u>	<u>131</u>

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	<u>2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>	<u>2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	421	(443)
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%)	63	(66)
მუდმივი ცვლილებების საგადასახადო ეფექტი	4	30
მოგების გადასახადის ხარჯი	<u>67</u>	<u>(36)</u>
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
ცვლილებები გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთებში	67	(36)
მოგების გადასახადის სარგებელი	<u>67</u>	<u>(36)</u>
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი	<u>2010</u>	<u>2009</u>
იანვარი 1 - გადავადებული საგადასახადო აქტივი	131	95
გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება ასახული სრული მოგება-ზარალის ანგარიშში	(67)	36
დეკემბერი 31 - გადავადებული საგადასახადო აქტივი	<u>64</u>	<u>131</u>

10. ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
ფული	423	1,074
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში (“სებ”)	<u>218</u>	<u>189</u>
სულ ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	<u>641</u>	<u>1,263</u>

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მინიმალურ სავალდებულო დეპოზიტს საქართველოს ეროვნულ ბანკში (“სებ”) 10 ათასი და 7 ათასი ლარის ოდენობით.

ფული და ფულის ექვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის შეადგენს:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>	<u>დეკემბერი 31, 2008</u>
		<i>(შესწორებული)</i>	<i>(შესწორებული)</i>
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	641	1,263	599
საკორესპონდენტო ანგარიშები	<u>481</u>	<u>2,415</u>	<u>5,867</u>
გამოკლებული: სავალდებულო მინიმალური დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში	<u>(10)</u>	<u>(7)</u>	<u>(4)</u>
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	<u>1,112</u>	<u>3,671</u>	<u>6,462</u>

11. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები	17	11
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებში	<u>464</u>	<u>2,404</u>
სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ	<u>481</u>	<u>2,415</u>

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს დარიცხულ პროცენტს და შეადგენს ნულს და 2 ათას ლარს შესაბამისად.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა ორი და ერთი ბანკის მიმართ სესხები და მოთხოვნები შესაბამისად, რაც აღემატება ბანკის კაპიტალის 10 პროცენტს.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალურმა დაქვემდებარებამ ბანკებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შეადგინა 481 ათასი და 2,415 ათასი ლარი შესაბამისად.

12. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,943	6,113
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	<u>(154)</u>	<u>(151)</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>9,789</u>	<u>5,962</u>

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
სესხები უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით	5,567	4,496
სესხები უზრუნველყოფილი კომბინირებული უზრუნველყოფით	2,253	1,420
სესხები უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით	704	51
სესხები უზრუნველყოფილი საწარმოთა გარანტიებით	509	49
სესხები უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით	114	50
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	<u>796</u>	<u>47</u>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	<u>(154)</u>	<u>(151)</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>9,789</u>	<u>5,962</u>

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ვაჭრობა	4,517	3,432
ფინანსური პირები	4,144	1,434
მშენებლობა	742	66
სოფლის მეურნეობა	38	50
საფინანსო სექტორი	-	1,131
სხვა	<u>502</u>	<u>-</u>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	<u>(154)</u>	<u>(151)</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>9,789</u>	<u>5,962</u>

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>	<u>დეკემბერი 31, 2009</u>
სამომხმარებლო სესხები	2,899	887
იპოთეკური სესხები	1,224	500
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	<u>21</u>	<u>47</u>
	4,144	1,434
გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	<u>(99)</u>	<u>(64)</u>
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>4,045</u>	<u>1,370</u>

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა სამ და ორ კლიენტზე სესხის სახით გასცა 2,328 ათასი და 1,852 ათასი ლარი შესაბამისად, რაც შესაბამისად აღემატება ბანკის კაპიტალის 5 პროცენტს.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სესხი გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხები, რომელთა პირობები შეიცვალა, შეადგენს 847 ათას და 242 ათას ლარს, შესაბამისად. სხვაგვარად ეს სესხები ჩაითვლებოდა ვადაგადაცილებულად, ან გაუფასურებულად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კლიენტებზე გაცემული სესხების ანალიზს გაუფასურების მიხედვით:

	<u>დეკემბერი 31, 2010</u>			<u>დეკემბერი 31, 2009</u>		
	საბალანსო დირექტუ- ლება რეზერვის ფორმირუ- ბამდე	გაუფასუ- რების დანაკარ- გების რეზერვი	საბალანსო დირექტუ- ლება	საბალანსო დირექტუ- ლება რეზერვის ფორმირუ- ბამდე	გაუფასუ- რების დანაკარ- გების რეზერვი	საბალანსო დირექტუ- ლება
კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად არის გაუფასურებული	2,497	(19)	2,478	759	(87)	672
კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ერთობლივად არის გაუფასურებული	2,772	(135)	2,637	1,433	(64)	1,369
სესხები გაუფასურების გარეშე	<u>4,674</u>	<u>-</u>	<u>4,674</u>	<u>3,921</u>	<u>-</u>	<u>3,921</u>
სულ	<u>9,943</u>	<u>(154)</u>	<u>9,789</u>	<u>6,113</u>	<u>(151)</u>	<u>5,962</u>

13. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები და სხვა უძრავი ქონება	ავეჯი და მოწყობი- ლობები	კომპიუტერ- ები და საოფისე მოწყობი- ლობა	ტრანს- პორტი	სხვა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობე- ლება	სულ
თავდაპირველი ღირებულებით							
დეკემბერი 31, 2008	1,988	737	364	320	123	126	3,658
შესყიდვა	-	-	1	-	-	-	1
ნამოწერა	-	-	-	-	-	(126)	(126)
დეკემბერი 31, 2009	1,988	737	365	320	123	-	3,533
შესყიდვა	-	-	11	-	-	-	11
დეკემბერი 31, 2010	1,988	737	376	320	123	-	3,544
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
დეკემბერი 31, 2008	4	30	22	36	5	118	215
წლის დარიცხვა	40	114	63	65	11	2	295
ნამოწერის შედეგად ელიმინირებული	-	-	-	-	-	(120)	(120)
დეკემბერი 31, 2009	44	144	85	101	16	-	390
წლის დარიცხვა	40	114	61	64	11	-	290
დეკემბერი 31, 2010	84	258	146	165	27	-	680
წმინდა საბალანსო ღირებულება							
დეკემბერი 31, 2010	<u>1,904</u>	<u>479</u>	<u>230</u>	<u>155</u>	<u>96</u>	<u>-</u>	<u>2,864</u>
დეკემბერი 31, 2009	<u>1,944</u>	<u>593</u>	<u>280</u>	<u>219</u>	<u>107</u>	<u>-</u>	<u>3,143</u>

14. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება	
დეკემბერი 31, 2008	200
შესყიდვა	<u>27</u>
დეკემბერი 31, 2009	227
შესყიდვა ჩამოწერა	<u>80</u> <u>(14)</u>
დეკემბერი 31, 2010	<u>293</u>
დაგროვილი ამორტიზაცია	
დეკემბერი 31, 2008	4
წლის დარიცხვა	<u>25</u>
დეკემბერი 31, 2009	<u>29</u>
წლის დარიცხვა ჩამოწერის შედეგად ელიმინირებული	<u>38</u> <u>(14)</u>
დეკემბერი 31, 2010	<u>53</u>
წმინდა საბალანსო ღირებულება	
დეკემბერი 31, 2010	<u><u>240</u></u>
დეკემბერი 31, 2009	<u><u>198</u></u>

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამებსა და ლიცენზიებს.

15. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
სხვა ფინანსური აქტივები, რომელიც ბასს 39-ის შესაბამისად აღიარებულია როგორც სესხი, ან მოთხოვნა: ავანსები და მოთხოვნები სხვა გარიგებებზე	<u>12</u>	<u>11</u>
სხვა არაფინანსური აქტივები: საგადახადო ანგარიშსწორება, მოგების გადასახადის გარდა	<u>4</u>	<u>2</u>
სულ სხვა აქტივები	<u><u>16</u></u>	<u><u>13</u></u>

16. კლიენტების ანგარიშები

კლიენტების ანგარიშები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
ამორტიზებული ღირებულებით ასახული:		
ვადიანი დეპოზიტები	366	65
მოთხოვნამდე ანგარიშები	642	425
სულ კლიენტების ანგარიშები	1,008	490

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტთა ანგარიშები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 8 ათასი და ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების ანგარიშები 12 ათასი და 8 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, გამოყენებულ იქნა როგორც გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების ანგარიშებმა შეადგინა 614 ათასი (66 პროცენტი) და 418 ათასი (85 პროცენტი) ლარი, შესაბამისად, რომელიც ეკუთვნოდა ათ კლიენტს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ვაჭრობა	432	230
ფიზიკური პირები	284	87
საფინანსო სექტორი	170	-
მშენებლობა	94	162
ენერგეტიკა	2	3
სოფლის მეურნეობა	1	3
სხვა	25	5
სულ კლიენტების ანგარიშები	1,008	490

17. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
კრედიტორები	42	26
სხვა არა-ფინანსური ვალდებულებები:		
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა	-	17
სხვა	2	2
სულ სხვა ვალდებულებები	44	45

18. სუბორდინირებული სესხი

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპრო- ცენტო განაკვეთი %	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
დაკავშირებული მხარეებისაგან მიღებული სუბორდინირებული სესხი	ლარი	17 ივლისი, 2016	7%	1,641	1,542
სულ სუბორდინირებული სესხი				1,641	1,542

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებულმა სესხმა მოიცვა დარიცხული პროცენტი შესაბამისად 241 ათასი და 142 ათასი ლარის ოდენობით.

ბანკის გაკოტრების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხის გადახდა განხორციელდება ბანკის მიერ ყველა სხვა კრედიტორის ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. სუბორდინირებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 5.3%.

19. სააქციო კაპიტალი

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განცხადებული, გამოშვებული და შეტანილი სააქციო კაპიტალი შესდგებოდა 12,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

20. პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარე-საბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო კონტროლის და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვა 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა ნული.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები		
გაცემული გარანტიები და სხვა ვალდებულებები	544	87
სასესხო ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	769	539
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	1,313	626

საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში კლიენტებზე სესხების გაცემა მტკიცდება ბანკის მიერ თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე, რომელიც დამოკიდებულია მსესხებელის ფინანსურ მდგომარეობაზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე. 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი სახის გამოუყენებელმა საკრედიტო ხაზებმა შეადგინა 769 ათასი და 539 ათასი ლარი შესაბამისად.

პირობითი ვალდებულებები – 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა პირობითი ვალდებულებები.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი სალიზინგო ვალდებულებები.

სასამართლო დავები – 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ბანკს არ მიუღია საჩივრები საკუთარი კლიენტებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად ფინანსური ანარიშგება არ შეიცავს რეზერვს.

გადასახადები – საქართველოს კომერციულ და საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი მუხლების არსებობის გამო, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი და ასევე საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე ბანკის საქმიანობისას შემთხვევითი დასკვნების გაკეთებისას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაში, გაუფასურების და დანაკარგების რეზერვის ფორმირებასა და გარიგებებში ფასის მაჩვენებლების საბაზრო დონის დადგენასთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი მოგების საგადასახადო აქტივების შეფასებისას, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო შემოსავლის გაქვითვის შედეგად, ბანკისათვის საპროცენტო შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაქვითვისას. ბანკი მიიჩნევს, რომ უკვე დაფარა ყველა გადასახადი და ფინანსურ ანგარიშგებაში არ მომხდარა რეზერვის ფორმირება.

საპენსიო გეგმები – თანამშრომლები პენსიას საქართველოს მთავრობისგან იღებენ, საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად. 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა დამატებითი საპენსიო, პენსიაზე გასვლის შემდგომ ჯანმრთელობის სადაზღვევო ვალდებულებები, ან საპენსიო კრედიტები არსებულ, ან ყოფილ თანამშრომლებზე.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. როგორც წარსულში ხდებოდა, რეალურ ან მოსალოდნელ ფინანსურ პრობლემებს, ან განვითარებად ეკონომიკაში ინვესტიციების ჩაღებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების ზრდას შეეძლო უარყოფითად ემოქმედა საქართველოში საინვესტიციო კლიმატზე და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

კანონები და რეგულირებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, და სხვა საკანონმდებლო და ფისკალური დაბრკოლებები სირთულეებს უქმნის საქართველოში ამჟამად მომუშავე საწარმოებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი დონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

გლობალურმა ფინანსურმა არეულობამ, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრებზე 2008 და 2009 წლებში ჩაიარა და 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკამ ზრდა დაიწყო. თუმცა ისევ არსებობს არსებითი ეკონომიური გაურკვეველობა. გლობალურ ფინანსურ სისტემაში არსებულმა სისტემური რისკებით გამოწვეულმა უარყოფითმა ცვლილებებმა, მათ შორის საკრედიტო გარემოს შეზღუდვამ შეიძლება შეანელოს ან ხელი შეუშალოს ეკონომიკის განვითარებას საქართველოში, უარყოფითად იმოქმედოს კაპიტალის ხელმისაწვდომობაზე და ღირებულებაზე ბანკისათვის და უფრო ზოგადად მის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე.

21. ბარიერები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 24 „დაკავშირებული მხარეების წარდგენა“, წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ბანკს, კონტროლდებიან მის მიერ ან ბანკთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, მფლობელი კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები), გააჩნიათ წილი ბანკში, რაც მათ მნიშვნელოვან გავლენას აძლევს ბანკზე; ან ერთობლივად აკონტროლებენ მას;
- ბ) ბანკის, ან მისი მფლობელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს;
- გ) ა) ან ბ) პუნქტში განსაზღვრული პირების უახლოეს ნათესაებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ ბ) და გ) პუნქტში განსაზღვრული პირების მიერ კონტროლირებად, ან ნაწილობრივ კონტროლირებად საწარმოებს, მათი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ან ეკუთვნის მათი ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის ზემოთ განხილულ პირებს.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. გარიგებები ბანკსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოდგენილია ქვემოთ:

	დეკემბერი 31, 2010		დეკემბერი 31, 2009	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,089	9,943	906	6,113
- საბოლოო აქციონერი	612		551	
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	393		321	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	84		34	
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(6)	(154)	(18)	(151)
- საბოლოო აქციონერი	(1)		(11)	
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	(0)		(6)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(5)		(1)	
კლიენტების ანგარიშები	184	1,008	47	490
- საბოლოო აქციონერი	108		2	
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	26		1	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	50		44	
სუბორდინირებული სესხი	1,641	1,641	1,542	1,542
- საბოლოო აქციონერი	1,641		1,542	
გაცემული გარანტიები და საკრედიტო ვალდებულებები	71	1,313	58	626
- საბოლოო აქციონერი	8			
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	8		5	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	55		53	

ღირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურებამ შეადგინა:

	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება	367	1,115	416	1,159

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის სრული მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	60	2,434	46	1,713
- საბოლოო აქციონერი	48		26	
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	12		20	
საპროცენტო ხარჯი	(106)	(123)	(106)	(109)
- საბოლოო აქციონერი	(106)		(106)	
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებზე	12	(3)	(17)	(75)
- საბოლოო აქციონერი	10		(11)	
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	6		(5)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(4)		(1)	

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად გარდა სალიკვიდაციო და იძულებითი გარიგებებისა. წარმოდგენილმა დაშვებებმა შესაძლებელია არ ასახოს ფაქტიური თანხები, რომლებიც ბანკს შეიძლება მიეღო მისი ფინანსური ინსტრუმენტების პაკეტის რეალიზაციისას.

ქვემოთ მოყვანილია ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

	დეკემბერი 31, 2010		დეკემბერი 31, 2009	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ნაშთები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში	641	641	1,263	1,263
მოთხოვნები ბანკების მიმართ	481	481	2,415	2,415
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,789	9,789	5,962	5,962
სხვა ფინანსური აქტივები	12	12	11	11
კლიენტების ანგარიშები	1,008	1,008	490	490
სხვა ფინანსური ვალდებულებები	42	42	26	26
სუბორდინირებული სესხი	1,641	1,341	1,542	1,242

23. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების პრინციპის საფუძველზე გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება.

ბანკის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს გამოშვებულ კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, როგორც წარმოდგენილია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში.

დირექტორთა საბჭო კაპიტალის სტრუქტურას განიხილავს წელიწადში ორჯერ. საბჭო ითვალისწინებს კაპიტალის ღირებულებას და კაპიტალის თითოეული კლასთან დაკავშირებულ რისკს. ხელმძღვანელთა საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით ბანკი ასორციელებს საერთო კაპიტალის სტრუქტურის დაბალანსებას დივიდენდების გადახდით, ახალი აქციების გამოშვების, ახალი სესხების გაცემით, ან არსებული სესხების დაფარვის საშუალებით.

შემდეგი ცხრილი აანალიზებს ბანკის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის სახედამხედველო კაპიტალის რესურსებს ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
მოძრაობები პირველად კაპიტალში:		
1 იანვარი	11,048	11,455
წმინდა მოგება/(ზარალი)	354	(407)
31 დეკემბერი	11,402	11,048
	დეკემბერი 31, 2010	დეკემბერი 31, 2009
სახედამხედველო კაპიტალის შემადგენლობა:		
პირველადი კაპიტალი:		
<i>სააქციო კაპიტალი</i>	12,000	12,000
<i>დაგროვილი ზარალი</i>	(598)	(952)
სულ კვალიფიცირებული პირველადი კაპიტალი	11,402	11,048
სუბორდინირებული სესხი	1,641	1,542
სულ სახედამხედველო კაპიტალი	13,043	12,590
კაპიტალის კოეფიციენტები:		
პირველადი კაპიტალი	64.87%	91.27%
სულ კაპიტალი	75.65%	103.45%

კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად სტანდარტებით დაწესებული რაოდენობრივი საზომები ბანკისაგან მოითხოვს მთლიანი კაპიტალის (12%) და პირველადი კაპიტალის (8%) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმალური ნაშთების და კოეფიციენტების შენარჩუნებას.

2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საერთო კაპიტალის თანხის გაანგარიშებისას ბანკმა გაითვალისწინა მიღებული სუბორდინირებული სესხი, რომელიც პირველადი კაპიტალის 50%-ით შეიზღუდვის ფარგლებში. ბანკის გაკოტრების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხის გადახდა მოხდება ბანკის მიერ ყველა სხვა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

24. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- საბაზრო რისკი

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიაღებია ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ბანკის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ეს პროცესები ხორციელდება საკრედიტო კომიტეტისა და ბანკის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ. საკრედიტო კომიტეტის მიერ ნებისმიერი განაცხადის გაკეთებამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დადგენა, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება რისკის მართვის განყოფილების მიერ. ყოველდღიური რისკის შეფასებას ახორციელებს საკრედიტო განყოფილების უფროსი.

ბანკი საკრედიტო რისკს მართავს რისკის მოცულობის ლიმიტების დაწესებით ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე და დარგობრივ (გეოგრაფიულ) სეგმენტზე. მსესხებლისა და პროდუქტის საკრედიტო რისკის ზღვარი (დარგისა და რეგიონის მიხედვით) განიხილება და მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ.

სესხების უმეტეს შემთხვევაში ბანკი საჭიროებისამებრ იღებს სესხის უზრუნველყოფას, ან კორპორატიულ ან ინდივიდუალურ გარანტიებს.

საკრედიტო ვალდებულება წარმოადგენს გარანტიებს ან აკრედიტივებს. გარე-საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც დანაკარგების ალბათობა, გამომდინარე კონტრაგენტის უუნარობიდან შეასრულოს სახელშეკრულებო პირობები. რაც შეეხება კრედიტის გაზრდის ვალდებულების საკრედიტო რისკს, ბანკი პოტენციურად დგას მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობის თანხის დაკარგვის საშიშროების წინაშე.

თუმცა, დანაკარგის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე, რადგან კრედიტის გაზრდის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი კლიენტების მიერ სპეციფიური საკრედიტო მოთხოვნების დაცვიდან გამომდინარე. ბანკი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორც საბალანსო ანგარიშის ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ბანკი აკონტროლებს გარე-საბალანსო საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ძირითადად აქვს უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მაქსიმალური ოდენობა

ბანკის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზეც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარე-საბალანსო აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებას. ბალანსში ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. ბანკის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია და პირობითი ვალდებულებება, ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების კონტრაქტით გათვალისწინებული ღირებულებით.

დეკემბერი 31, 2010:

	მაქსიმალური დაქვემდებარება
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	218
მოთხოვნები ბანკების მიმართ	481
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,789
სხვა ფინანსური აქტივები	12
გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები	544
სასესხო ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	769

დეკემბერი 31, 2009:

	მაქსიმალური დაქვემდებარება
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	189
მოთხოვნები ბანკების მიმართ	2,415
კლიენტებზე გაცემული სესხები	5,962
სხვა ფინანსური აქტივები	11
გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები	87
სასესხო ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	539

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შიდა შეფასების სისტემის და მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც გამოსცა საერთაშორისო სააგენტოებმა “Fitch”, “Standard & Poor’s” და “Moody’s”. უმაღლესი შეფასება არის ააა. საინვესტიციო ფინანსურ აქტივებს გააჩნიათ შეფასება ააა-დან ბბბ-მდე. ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება ბბბ-ზე ნაკლებია კლასიფიცირდება, როგორც სპეკულატიური რეიტინგის მქონე.

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისად შეადგინდა 218 ათასი და 189 ათასი ლარი. საქართველოს საკრედიტო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიხედვით 2010 წელს შეესაბამებოდა საინვესტიციო დონე ბ+.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

	ააა	აა	ა	ბბბ	<ბბბ	შეუფასე- ბელი	სულ 2010 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	-	218	-	-	218
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	165	316	-	481
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	9,789	9,789
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	12	12

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ააა	აა	ა	ბბბ	<ბბბ	შეუფასე- ბელი	სულ 2009 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	-	189	-	-	189
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	1,626	789	-	2,415
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	5,962	5,962
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	11	11

საბანკო სექტორი ექვემდებარება საკრედიტო რისკს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ბანკთაშორის დეპოზიტებთან მიმართებაში. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში რისკების მოცულობა კონცენტრირდება საქართველოში. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებს მონიტორინგი რეგულარულად ტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ბანკის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობის და რეგულირების მოთხოვნების მიმართ და აფასებს მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კონცენტრირებულია საქართველოში.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

ბანკი იყენებს ლიკვიდობის რისკის მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს განსაზღვრულ დროის მონაკვეთებზე. ბანკის მიერ ჩატარებული ლიკვიდობის ანალიზის კიდევ ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია ლიკვიდობის ანალიზის ანგარიში, რომელიც მოიცავს ყველა საოპერაციო ვალუტის ჭრილში ლიკვიდურობის ანალიზს 5 წლის პერიოდისათვის.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აწესებს ლიმიტებს ბანკთაშორის და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე იმისათვის, რომ ბანკმა შეძლოს მომხმარებელთა მხრიდან ფულის განადგობის მოულოდნელი მოთხოვნის წარმოქმნის დაკმაყოფილება.

ლიკვიდობისა და საპროცენტო რისკის ანალიზი:

- (ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების (სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი) არადისკონტირებული ფულადი სახსრების იმ უახლოესი თარიღით, როდესაც ბანკი ვალდებულია დაფაროს ვალდებულება; და
- (ბ) ფინანსური აქტივების სავარაუდო დაფარვის ვადა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე სახელშეკრულებო დაფარვის ვადაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკი ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა დროსაა მოსალოდნელი ვარაუდობს.

ლიკვიდობის რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები გაანალიზებულია შემდეგ ცხრილში. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ბანკის უმარლესი ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას:

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	განუსა- ზღვრელი ვალიანობა	2010 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები						
მოთხოვნები ბანკების მიმართ	316	-	-	-	-	316
კლიენტებზე გაცემული სესხები	441	2,428	2,153	4,385	382	9,789
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები	757	2,428	2,153	4,385	382	10,105
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	641	-	-	-	-	641
მოთხოვნები ბანკების მიმართ	165	-	-	-	-	165
სხვა ფინანსური აქტივები	12	-	-	-	-	12
სულ ფინანსური აქტივები	1,575	2,428	2,153	4,385	382	10,923
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების ანგარიშები	112	101	145	8	-	366
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	1,641	1,641
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	112	101	145	8	1,641	2,007
კლიენტების ანგარიშები	642	-	-	-	-	642
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	42	-	-	-	42
სულ ფინანსური ვალდებულებები	754	143	145	8	1,641	2,691
ლიკვიდობა	821	2,285	2,008	4,377	(1,259)	
ჯამური ლიკვიდობა	821	3,106	5,114	9,491	8,232	
საპროცენტო სარგებლის მგრძობიარობა	645	2,327	2,008	4,377	(1,259)	

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	განუსა- ზღვრელი ვალიანობა	2009 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები						
მოთხოვნები ბანკების მიმართ	2,192	-	-	-	-	2,192
კლიენტებზე გაცემული სესხები	379	1,098	3,077	1,075	333	5,962
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები	2,571	1,098	3,077	1,075	333	8,154
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1,256	-	-	-	7	1,263
მოთხოვნები ბანკების მიმართ	223	-	-	-	-	223
სხვა ფინანსური აქტივები	11	-	-	-	-	11
სულ ფინანსური აქტივები	4,061	1,098	3,077	1,075	340	9,651
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების ანგარიშები	3	5	57	-	-	65
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	1,542	1,542
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	3	5	57	-	1,542	1,607
კლიენტების ანგარიშები	425	-	-	-	-	425
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	26	-	-	-	26
სულ ფინანსური ვალდებულებები	428	31	57	-	1,542	2,058
ლიკვიდობა	3,633	1,067	3,020	1,075	(1,202)	
ჯამური ლიკვიდობა	3,633	4,700	7,720	8,795	7,593	
საპროცენტო სარგებლის ჯამური მგრძობიარობა	2,568	1,093	3,020	1,075	(1,209)	

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფასს 7-ის შესაბამისად. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები არ შეესაბამება ანგარიშში წარმოდგენილ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვალიანობის ანალიზს, რაც მიუთითებს კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ გადახდებზე (საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით), რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

2010 წლის 31 დეკემბერი:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენ- ტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დეკემბერი 31, 2010 სულ
ფინანსური ვალდებულებები:							
კლიენტების ანგარიშები	14.50%	104	106	163	11	-	384
სუბორდინირებული სესხი	7.00%	-	-	-	-	2,184	2,184
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები		104	106	163	11	2,184	2,568
კლიენტების ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები		642	-	-	-	-	642
		-	42	-	-	-	42
სულ ფინანსური ვალდებულებები		746	148	163	11	2,184	3,252

2009 წლის 31 დეკემბერი:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენ- ტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დეკემბერი 31, 2009 სულ
ფინანსური ვალდებულებები:							
კლიენტების ანგარიშები	7.19%	3	5	60	-	-	68
სუბორდინირებული სესხი	7.00%	-	-	-	-	2,184	2,184
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები		3	5	60	-	2,184	2,252
კლიენტების ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები		425	-	-	-	-	425
		-	26	-	-	-	26
სულ ფინანსური ვალდებულებები		428	31	60	-	2,184	2,703

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასების დადგენის სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ბანკი. ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია ბანკის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებში და ასევე იმ რისკებში, რომლებსაც ის ექვემდებარება.

საპროცენტო განაკვეთის მგრძობიარობა

საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულების რისკებს ბანკი მართავს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძობიარობას საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულების ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მგრძობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე“ დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია რისკების ანგარიშებით, რომლებსაც ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარუდგენს.

გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე:

	დეკემბერი 31, 2010		დეკემბერი 31, 2009	
	საპროცენტო განაკვეთი +1%	საპროცენტო განაკვეთი -1%	საპროცენტო განაკვეთი +1%	საპროცენტო განაკვეთი -1%
ფინანსური აქტივები:				
მოთხოვნები ბანკების მიმართ	3	(3)	30	(30)
კლიენტებზე გაცემული სესხები	97	(97)	54	(54)
ფინანსური ვალდებულებები:				
კლიენტების ანგარიშები	(4)	4	(3)	3
სუბორდინირებული სესხი	(14)	14	(14)	14
წმინდა გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე	82	(82)	67	(67)

გავლენა კაპიტალზე:

	დეკემბერი 31, 2010		დეკემბერი 31, 2009	
	საპროცენტო განაკვეთი +1%	საპროცენტო განაკვეთი -1%	საპროცენტო განაკვეთი +1%	საპროცენტო განაკვეთი -1%
ფინანსური აქტივები:				
მოთხოვნები ბანკების მიმართ	2	(2)	26	(26)
კლიენტებზე გაცემული სესხები	82	(82)	46	(46)
ფინანსური ვალდებულებები:				
კლიენტების ანგარიშები	(3)	3	(3)	3
სუბორდინირებული სესხი	(12)	12	(12)	12
წმინდა გავლენა კაპიტალზე	69	(69)	57	(57)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ბანკი ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძვლების ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ბანკს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სასაზიზო განყოფილება ახორციელებს ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

ბანკის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან მიმართებაში წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.7728 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.35 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2010 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	443	146	44	8	641
მოთხოვნები ბანკების მიმართ	316	140	11	14	481
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,776	13	-	-	9,789
სხვა ფინანსური აქტივები	3	9	-	-	12
სულ ფინანსური აქტივები	10,538	308	55	22	10,923
ფინანსური ვალდებულებები					
კლიენტების ანგარიშები	646	312	44	6	1,008
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	42	-	-	42
სუბორდინირებული სესხი	1,641	-	-	-	1,641
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,287	354	44	6	2,691
ღია საბალანსო პოზიციის	8,251	(46)	11	16	

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1 .6858 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.4195 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2009 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	949	180	134	-	1,263
მოთხოვნები ბანკების მიმართ	787	217	1,405	6	2,415
კლიენტებზე გაცემული სესხები	5,958	4	-	-	5,962
სხვა ფინანსური აქტივები	7	4	-	-	11
სულ ფინანსური აქტივები	7,701	405	1,539	6	9,651
სულ ფინანსური ვალდებულებები					
კლიენტების ანგარიშები	327	113	50	-	490
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	26	-	-	26
სუბორდინირებული სესხი	1,542	-	-	-	1,542
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,869	139	50	-	2,058
წინა საბალანსო პოზიცია	5,832	266	1,489	6	

სავალუტო რისკის მგრძობიარობა

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძობიარობას 10%-იან ზრდასა და შემცირებაზე აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში. 10% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტის დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 10%-იანი ცვლილებით. მგრძობიარობის ანალიზი მოიცავს გარე სესხებსა და სესხებს უცხოური ვალუტით განსორციელებულ ოპერაციებზე ბანკში, სადაც სესხი დენომინირებულია მსესხებლის, ან კრედიტორის ვალუტისაგან განსხვავებულ ერთეულში.

გავლენა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დეკემბერი 31, 2010		დეკემბერი 31, 2009	
	ლარი/აშშ დოლარი +10%	ლარი/აშშ დოლარი -10%	ლარი/აშშ დოლარი +10%	ლარი/აშშ დოლარი -10%
გავლენა მოგებასა და ზარალზე გადასახადებამდე	(5)	5	27	(27)
გავლენა კაპიტალზე	(4)	4	23	(23)

	დეკემბერი 31, 2010		დეკემბერი 31, 2009	
	ლარი/ევრო +10%	ლარი/ევრო -10%	ლარი/ევრო +10%	ლარი/ევრო -10%
გავლენა მოგებასა და ზარალზე გადასახადებამდე	1	(1)	149	(149)
გავლენა კაპიტალზე	-	-	127	(127)

მგრძობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას ძირითად დაშვებებში, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი, ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრძობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე, მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტიურ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხებიან. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე ზემოქმედი ფაქტორებით. ბანკზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ბანკი მართავს საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტებისა და მარჟების და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენითა და შენარჩუნებით. გაუნაღებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ბანკი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ამაზე ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.